**ქართული ენა და ლიტერატურა**

ანბანის შემდგომი პერიოდი

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა
ძირითადი რესურსი/ტექსტი/: ჯ.ჩარკვიანი ,,მოფრთხილება უნდა“
თემა: ზრუნვა
შესაძლო დამატებითი თემატიკა:
კლასი: IVზ
საათების სავარაუდო რაოდენობა:
სკოლა: მე–11 საჯ.სკ.
პედაგოგი:მთვარისა წიკლაური
მატრიცის სარჩევი

| დავალება | ცნებები და ქვეცნებები | საკითხი | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|---|---|
| მკითხველის პოსტერი | **ტექსტი – პოსტერი**<br>**მოთხრობა–** მთავარი იდეა<br>კითხვის და წერის სტრატეგიები | ლექსის მთავარი იდეის გამომხატველი პოსტერის შექმნა. | როგორ შევქმნა მკითხველის პოსტერი ჯ.ჩარკვიანის ლექსის–,,მოფრთხილება უნდა“ მთავარი იდეის გამოსახატავად?<br>რამდენად შეესაბამება ჩემს პოსტერზე წარმოდგენილი მაგალითები ლექსის დედააზრს? |

| | | | |
|---|---|---|---|
| სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | **საკითხი:** ლექსი–ჯ.ჩაღკვიანი ,,მოფრთხილება უნდა“ მთავარი იდეის გამომხატველი პოსტერის შექმნა.<br>**ქვეცნებები:**<br>**მოთხრობის** მთავარი იდეა<br>კითხვის და წერის სტრატეგიები | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ შევქმნა მკითხველის პოსტერი ლექსის მთავარი იდეის გამოსახატავად?<br>• რამდენად შეესაბამება ჩემს პოსტერზე წარმოდგენილი მაგალითები მოთხრობის დედააზრს? | **კომპლექსური დავალებები** |

(1) ტექსტი - პოსტერი
(შედეგები: I 2; I 3; I 4; I 5; I 6; I. 7; I. 8; I. 9; I. 12; I. 13; I. 14; I. 15)

1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.
2. ტექსტში პირდაპირ ან არაპირდაპირ მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტის სიღრმისეულად, ახლებურად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.
3. ტექსტის გასაგებად/შესაქმნელად მნიშვნელოვანია სტრატეგიების აღმოჩენა და გამრავალფეროვნება.
4. ტექსტი შეიძლება იყოს: **პოსტერი.**

***1. შინაარსი***

- პოსტერები იქმნება სხვადასხვა მიზნით;
- პოსტერზე ავტორი თვალსაჩინოდ გამოხატავს თავის სათქმელს/გზავნილს რაიმე თემაზე, საკითხზე/პრობლემაზე, მოვლენაზე.

***2. აგებულება-სტრუქტურა***

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა**

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

**ეტაპი 2. დავალების განხორციელება**

ნაბიჯი 1. რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის გასაგებად

ა) რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის შინაარსის აღმოსაჩენად?

რესურსი – ,,მოფრთხილება უნდა"

**აქტივობა 1. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით**

**აქტივობა 2. კითხვა პაუზებით**

| | |
|---|---|
| სამიზნეცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზეორიენტირებულიშეკითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**კითხვის სტრატეგიები** | • რას გეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური, ილუსტრაცია) შინაარსის შესახებ? რით უკავშირდება ისინი შენს ცოდნას? **(აქტივობა 1)**<br>• რა იცი ლექსის შესახებ? რა მოლოდინი გაქვს?<br>• რას გახსენებს ლექსის სათაური „მოფრთხილება უნდა'?<br><br>• როგორ ფიქრობ, რა მოხდება? ------(**აქტივობა 2**)<br>• რატომ ფიქრობ ასე?<br>• რა მინიშნებებს ეყრდნობი?---------<br>• გამართლდა თუ არა შენი მოლოდინები? რამდენად გაითვალისწინე ყველა მინიშნება? |

ნაბიჯი 1. რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის გასაგებად

ა) რა სტრატეგიები გამოიყენე უცნობი სიტყვების გასაგებად და ასათვისებლად?

**რესურსები/აქტივობები**

შექმენი პოსტერი, ჯ.ჩაღკვიანი ,,მოფრთხილება უნდა"მიხედვით,რომელზეც ასახავ მთავარი სათულ გაგებას.

**ნამუშევარში:**

✔ წარმოაჩინე მაგალითები სხვა წიგნებიდან, ფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან, ბრძნული გამონათქვამები თუ ანდაზები, რომლებიც შეესატყვისება მოთხრობის დედააზრს;

✔ გამოკვეთე აზრობრივი კავშირი სათაურს, წარწერებსა და ილუსტრაციებს შორის;

✔ გამოიყენე ვიზუალური ეფექტები სათქმელის გამოსაკვეთად (მაგ., სხვადასხვა ზომის ასოები, ილუსტრაციების განლაგება) ;

✔ წინადადებების შინაარსის გათვალისწინებით შეარჩიე სასვენი ნიშნები;

***პოსტერის წარდგენისას წარმოაჩინე:***

- ახსენი, რით და როგორ უკავშირდება შენი პოსტერი ნაწარმოების მთავარ აზრს;
- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი პოსტერია
- რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის გასაგებად
- რა მინიშნებები და სტრატეგიები გამოიყენე ლექსის დედააზრის ამოსაცნობად
- რა სტრატეგიები გამოიყენე ნაშრომის შექმნისას

- პოსტერზე შეიძლება გამოყენებული იყოს წარწერები, სურათები, ფოტოები, რომლებიც აზრობრივად შეესაბამება ერთმანეთს;
- გამოიყენება ვიზუალური ეფექტები სათქმელის უკეთ გამოსაკვეთად, შთაბეჭდილების მოსახდენად (სხვადასხვა ზომის თუ ფერის ასოების, წარწერებისა და ილუსტრაციების მიზნობრივი განლაგება).

**<u>3. ენა</u>**

- გამოყენებულია სხვადასხვა შინაარსის მოკლე წინადადებები.

**რესურსი 1 – სიტყვის პირამიდა**




**აქტივობა 1. ლექსიკაზე მუშაობა**
**აქტივობა 2. ლექსიკონის შედგენა**
**აქტივობა 3. შეავსე სიტყვის პირამიდა ახლად ნასწავლი სიტყვების გამოყენებით:** ღურაჯი. გნოლი, მოლი. ველი. გოგმანი.

| | |
|---|---|
| სამიზნეცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზეო რიენტირებულიშეკი თხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**კითხვის სტრატეგიები** | • როგორ გესმით: „სანამ კიდევ რიხით,დაბრძანდება ჯიხვი..“ საიდან მიხვდი ამას? **(აქტივობა 1)**<br>• სხვანაირად როგორ იტყოდით: „დაგოგმანებს“? რა შემთხვევაში შეიძლება ითქვას ეს? მოიყვანეთ მაგალითები.<br>მოიფიქრე ერთ-ორწინადადებიანი ამბავი ამ სიტყვის გამოყენებით.<br><br>• რას ნიშნავს სიტყვები - „ღურაჯი“ „გნოლი“ „მოლი“<br>• როგორ შეავსებდით სიტყვის პირამიდებს ამ სიტყვების გამოყენებით? |

ბ) როგორ გეხმარება აბზაცი ტექსტის უკეთ გაგებაში? რა სტრატეგიები გამოიყენე კითხვაში გასაწაფად?

**რესუსი/აქტივობა**

რესურსი 1. ტექსტი „მოფრთხილება უნდა“

**აქტივობა 1.** სტროფების დასათაურება

**აქტივობა 2.** გაგრძელებებით კითხვა.

**აქტივობა 3.** ეპიზოდის გამომსახველობითად წაკითხვა

| | |
|---|---|
| საშიზნეცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზეო რიენტირებულიშეკი თხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**კითხვის სტრატეგიები** | • როგორ ამოიცანი სტროფი? სად იწყება, სად სრულდება სტროფი?<br><br>• რატომ არის მნიშვნელოვანი სასვენი ნიშნების წინასწარ დანახვა?<br>• როგორ გეხმარება სასვენი ნიშნები პაუზების დაცვაში, ინტონაციის შერჩევაში? |

ნაბიჯი2. რა მინიშნებები და სტრატეგიები გამოიყენე ლექსის დედააზრის ამოსაცნობად

რესურსი/აქტივობა

**აქტივობა 1.** გონებრივი იერიში ლექსის დედააზრის ამოსაცნობად, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ტექსტთან მიბრუნება მინიშნებებზე დასაკვირვებლად;
**აქტივობა 2.** გონებრივი იერიში მაგალითების შესარჩევად პოსტერისთვის და შერჩევა.

| | |
|---|---|
| საშიზნეცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზეო | • რისი თქმა უნდა ავტორს საქართველოს ტყეებზე საუბრით?(**აქტივობა 1**)<br>• რა დეტალებზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას? რატომ? |

| | |
|---|---|
| რიენტირებულიშეკ ითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**დედააზრი** | • როგორ გესმით მოთხრობის ბოლოს ავტორის მიერ ნათქვამი სიტყვები? ეთანხმებით თუ არა მის მოსაზრებას?<br>• რამდენად უკავშირდება ავტორის სიტყვები მოთხრობის დედააზრს? რატომ ფიქრობთ ასე?<br>• რისი თქმა უნდოდა ამ ლექსის ავტორს? რა არის ამ ლექსის მთავარი სათქმელი? რატომ ფიქრობ ასე?<br>• როგორ ჩამოვაყალიბოთ ლექსის დედააზრი?<br>• ვის აქვს განსხვავებული ვარიანტი?<br>• ამ ამბის გამომხატველი რაიმე ანდაზა ხომ არ გახსენდებათ?<br>• ვის რა მაგალითები გახსენდებათ თქვენი ცხოვრებიდან, წაკითხული წიგნებიდან, ნანახი მულტფილმებიდან ან ფილმებიდან ტყისა და მისი ბინადრების შესახებ<br>• რომელ მაგალითებს გამოიყენებთ პოსტერისთვის ? |

ნაბიჯი 3. რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი პოსტერია

**რესურსი 1**: *პოსტერების ნიმუშები*

**აქტივობა 1: პოსტერის არსებითი მახასიათებლების გახსენება**

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br>**ქვეცნება**<br><br>მთავარი იდეა კითხვის და წერის სტრატეგიები | ✔ რა საერთო მახასიათებლები აქვს პოსტერს? რით ჰგავს ერთმანეთს ყველა პოსტერი?<br>✔ აქვთ თუ არა წარწერები, ილუსტრაციები?<br>✔ შეესაბამება თუ არა აზრობრივად ერთმანეთს წარწერები და ილუსტრაციები?<br>✔ თვალსაჩინოა თუ არა ავტორის გზავნილი?<br>✔ რა ვიზუალურ ეფექტებს იყენებენ? რამდენად გამოკვეთს გამოყენებული ეფექტები მთავარ სათქმელს? (მაგ., სხვადასხვა ზომის თუ ფერის ასოების, წარწერებისა და ილუსტრაციების მიზნობრივად განლაგება).<br>✔ როგორი წინდადებებია გამოყენებული?<br>✔ რომელი სასვენი ნიშნებია გამოყენებული და რატომ?<br>✔ რას იტყოდით, როგორი უნდა იყოს კარგი პოსტერი? |

| | |
|---|---|
| | ✔ როგორ გვეხმარება პოსტერის შექმნა ნაწარმოების უკეთ გაგებაში? |

ნაბიჯი 4. ახსენი, რით და როგორ უკავშირდება შენი პოსტერი ნაწარმოების მთავარ აზრს

**რესურსები/აქტივობები**

**რესურსი 1. მკითხველის დღიური**

| სიტყვა, წინადადება, ეპიზოდი, პერსონაჟი | **დაკავშირება ჩემს ცხოვრებასთან** <br>• რით უკავშირდება ეს ტექსტი ჩემს ცხოვრებას, გამოცდილებას? <br>• ვინ ან რა გამახსენა წაკითხულმა? |
|---|---|
| | |
| | |

**რესურსი 2. მოსწავლეთა ნამუშევრები**

**რესურსი 3. კრიტერიუმების ბადის ნიმუში**

| გ = გასაუმჯობესებელია<br>კ = კარგია | | |
|---|---|---|
| | მე | მასწავლებელი ან თანაკლასელი |
| რამდენად შეესაბამება მაგალითი მოთხრობის დედააზრს? | | |
| აზრობრივად რამდენად შეესაბამება პოსტერის სათაური, წარწერა და ილუსტრაციები ერთმანეთს? | | |
| რამდენად უწყობს ხელს ვიზუალური ეფექტები სათქმელის გამოკვეთას? | | |
| რამდენად მართებულად გამოხატეთ სასვენი ნიშნებით წინადადებათა შინაარსი | | |
| რა არის გასაუმჯობესებელი?<br>------------------------------------------------------------------- | | |

**რესურსი 4.** მსმენელის დღიური

| | რა მომეწონა? რით იყო საინტერესო, დასამახსოვრებელი? | რით ჰგავს, რით განსხვავდება ჩემი პოსტერისაგან? |
|---|---|---|
| გამომსვლელი 1. | | |
| გამომსვლელი 2. | | |

**აქტივობა 1.** მკითხველის დღიურის შევსება
**აქტივობა 2.** იდეების გენერირება

**აქტივობა 3.** პოსტერისთვის ილუსტრაციების შერჩევა ან მომზადება; პოსტერის პირველადი ვერსიის მომზადება;
**აქტივობა 4.** თვითშეფასება ან ურთიერთშეფასება კრიტერიუმების ბადის საფუძველზე **(რესურსი 3);**
**აქტივობა 5**. გაუმჯობესება;
**აქტივობა 6.** საბოლოო ვერსიის შექმნა; მსმენელის დღიურის გამოყენება;

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები **ქვეცნება-წერის სტრატეგიები** | • რამდენად შეესაბამება მაგალითი მოთხრობის დედააზრს?<br>• აზრობრივად რამდენად შეესაბამება პოსტერის სათაური, წარწერა და ილუსტრაციები ერთმანეთს?<br>• რამდენად უწყობს ხელს ეფექტები სათქმელის გამოკვეთას?<br>• რამდენად მართებულად გამოხატეთ სასვენი ნიშნებით წინადადებათა შინაარსი?<br>• კიდევ რა მაგალითები გახსენდებათ თქვენი ცხოვრებიდან, წაკითხული წიგნებიდან, ნანახი მულტფილმებიდან ან ფილმებიდან, რომლებიც ლექსის მთავარ სათქმელს უკავშირდება?<br>• რომელ მაგალითებს გამოიყენებთ პოსტერისთვის?<br>• როგორ გააფორმებთ პოსტერს?<br>• რომელი სტრატეგიები გაგვიადვილებს პოსტრის შექმნას ?<br>• რით და როგორ გააუმჯობესებთ ნამუშევარს? |

პოსტერების გამოფენა, დავალების წარდგენა;

**დავალების განხორციელების პროცესში და წარდგენის დროს თუ შემდეგ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)**

- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად პოსტერია?
- რა მიზნით შექმენი პოსტერი?
- რატომ ფიქრობ, რომ შენი გზავნილი თვალსაჩინოა?
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა; რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?

| | | |
|---|---|---|
| | • მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი  სტრატეგიები გამოგიყენებია?<br>• რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების მოთხოვნებთან მიმართებით? რამ  შეგიწყო  წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?<br>• შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?<br>• რას გააკეთებდი განსხვავებულად,  ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?<br>• როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით  გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს? | |
| | | |